ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2026169

ნომერი: AR1326946

თარიღი : 15.07.2015

გაცემის თარიღი : 23.07.2015

გაცნობის თარიღი : 23.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , II შესახვევი N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირმა კეკელიძე პ/ნ 01001008869
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მარაბდას ქუჩა, N 15

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1326946 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, შატბერაშვილი ქუჩა, II შესახვევი N2 –ში (ს/კ 01.14.11.059.054) მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2015 წლის 05 თებერვლის #1704502 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა, II შესახვევი #2-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ #01.14.11.059.054 დადგინდა მიწის ნაკვეთის

სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, ხოლო აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში #1825175 და #1939871 ბრძანებებით შევიდა ცვლილებები.

2015 წლის 08 ივლისის #1997370 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა, II შესახვევი #2, შპს ,,ჯორჯთაუნ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.059.054) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1280765, #AR1297259, #AR1314756, #AR1307012 განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ 2012-2015 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ (#1704502 გადაწყვეტილება, #1825175, #1939871 და #1997370 ბრძანებები) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო.
